ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N41

ქ. ბათუმი 07 თებერვალი 2018 წელი

ერთის მხრივ, სსიპ-ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის **გიორგი მიქელაძის** სახით და მეორეს მხრივ, **ფიზიკური პირი გალაქტიონ გოგიბერიძე** (შემდგომში „მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტის და მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის №98 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს მორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. "დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. 2018 წლის 28 თებერვალს და 01 მარტს, სსიპ–ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის საოპერო დასის მიერ, ბათუმის ხელოვნების ცენტრში, ტარდება პიეტრო მასკანის ოპერა „სოფლის ღირსება". წინამდებარე ხელშეკრულების საგანია აღნიშნულ სპექტაკლთან დაკავშირებით, დამდგმელი მხატვრის მომსახურების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით (CPV კოდი–92300000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულებაა 2 000 (ორი ათასი) ლარი.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს. სამუმოსაცლო გადასახადის დაქვითვა მოხდება შემსყიდველის მიერ.

4. მომსახურების გაწევის ვადა

4.1. მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 01 მარტის ჩათვლით პერიოდი.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.
5.2. მომსახურების მიღება-ჩაბარება ხორციელდება გაწეული მომსახურების ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
5.3. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენელია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, ეროვნულ ვალუტაში.
6.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება, ხელშეკრულების მე-5 მუხლით განსაზღვრული წესით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად შევსებული ანგარიშსწორების დოკუმენტის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორების დოკუმენტზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გაწიოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9.2. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

11. სხვა პირობები

11.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
11.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
11.3. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის საბით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება
ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.
11.4. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე
11.5. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი იბახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 აპრილის ჩათვლით.
12.2. ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღია წინამდებარე ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღი.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ „ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი"	ფ/პ გალაქტიონ გოგიბერიძე
იურიდიული მისამართი: ბათუმი, ოდისეი დიმიტრიადის ქუჩა №1	ს.ს. „ვითიბი ბანკი ჯორჯია"
მიმდების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი UGEBGE22
ბანკის კოდი: TRESGE22	ა/ა GE94VT1000000171514506
ანგ. №: GE24 NB03 3010 0200 1650 22	პირადი №61001007254
საიდენტიფიკაციო კოდი: 245 584 274	